

შპს „ჰიდროლეა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ	5
2. საოპერაციო გარემო	5
3. მომზადების საფუძველი	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
6. სხვა გრძელვადიანი აქტივები	15
7. კაპიტალი	16
8. ნასესხები სახსრები	16
9. პირობითი ვალდებულებები	16
10. ფინანსური ინსტრუმენტები	17

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,352,095	4,509,056	1,603,653
სავაჭრო მოთხოვნები	152,041	758,665	1,361,184
გადახდილი ავანსები	284,294	101,950	507,351
მარაგები	307,141	73,198	26,956
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	-	-	-
გაცემული სესხები	-	20,073,900	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	138,071	503,208	298,540
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	18,846	16,494	17,896
ძირითადი საშუალებები	43,563,764	39,123,360	41,642,757
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,124,343	380,475	1,780,666
სულ აქტივები	54,940,595	65,540,306	47,239,003
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	847,625	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	47,475	-	424,289
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	25,477	488,090	374,874
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	2,775,519	3,503,354	5,719,000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	66,963,701	72,543,749	39,539,130
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	64,573	-
სულ ვალდებულებები	70,659,797	76,599,766	46,057,293
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	5,174,114	5,174,114	11,597,603
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(18,997,717)	(16,324,648)	(10,578,445)
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები	(1,895,599)	91,074	162,552
სულ საკუთარი კაპიტალი	(15,719,202)	(11,059,460)	1,181,710
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	54,940,595	65,540,306	47,239,003



ზურაბ გორგიჯიანი
დირექტორი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	2020	2019
საქმიანობის შედეგები		
მომსახურების გაწევიდან	7,149,178	9,508,026
სხვა	-	243,255
სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(706,300)	(1,141,152)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,755,810)	(1,636,338)
საპროცენტო შემოსავალი:	1,273,147	133,766
საპროცენტო ხარჯი :	(6,445,457)	(4,968,916)
იჯარის ხარჯი	(167,708)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,284,248)	(1,655,714)
სულ საოპერაციო ხარჯები	(9,086,376)	(9,268,354)
საოპერაციო მოგება	(1,937,198)	482,927
 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(36,585)	(4,199,404)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(706,504)	(87,668)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-	-
განგრძობითი ოპერაციებიდან	-	-
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	(2,680,287)	(3,804,145)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	(1,986,673)	91,073
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	(2,680,287)	(3,804,145)
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(4,666,960)	(3,713,072)
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(11,059,460)	1,181,710
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	1,505,000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	(10,037,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	7,218	(1,942,057)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	1,945,959
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(15,719,202)	(11,059,460)

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	2020	2019
ფულადი სახსრების მოძრაობა		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6,803,177	6,616,257
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	20,335,289	(16,742,877)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(23,101,669)	12,990,374
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	4,036,797	2,863,754
სავალუტო კურსის ეფექტი	806,242	41,649
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,509,056	1,603,653
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9,352,095	4,509,056

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ**

შპს „ჰიდროლეა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2012 წლის 06 ივლისს, თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილების საფუძველზე და ის წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელწოდება	საქმიანობის ქვეყანა	წილობრივი მონაწილეობა (%)	
		2020	2019
შპს „გეოენერჯი“	საქართველო	100%	100%
შპს „ჰიდრო ჯორჯია“	საქართველო	100%	100%
შპს „კასლეთი 2“	საქართველო	100%	100%
შპს „დარჩი“	საქართველო	100%	100%

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „ჯორჯია ენერჯი ჰოლდინგ“ („მშობელი კომპანია“), რომელიც 2020 წლის ივლისში შეერწყა სს „ჯორჯიან გლობალ იუთილიტიზ“.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ჯორჯიან გლობალ იუთილიტიზ“-ის 100%-იანი წილის მფლობელია სს „ჯორჯია კაპიტალი“, რომლის საბოლოო მშობელი კომპანიაა გაერთიანებულ სამეფოში ფუნქციონირებადი „Georgia Capital PLC“ (GCAP).

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის გამომუშავება ღია ბაზარზე გასაყიდად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის ქ. № 10.

2. საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების გამდიერებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება, როგორც არის გლობალური COVID-19-ის მიერ გამოწვეული ეკონომიკური განუსაზღვრელობა, თუმცა ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნულ გამოწვევებს მატერიალური ზეგავლენა არ ჰქონია ჯგუფის საქმიანობაზე.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. მომზადების საფუძველი

ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ზუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის ანგარიშგებისთვის.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“) და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს გააჩნია უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ მიმდინარე მომენტში მას აქვს უფლება მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ მას შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების(წილის) უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიებზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფსშიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქცითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები**

ჯგუფის საქმიანობის შესაბამის ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, გაგვჩენა არ ჰქონიათ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 9 და ბასს (IAS) 39-ში „საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში „ტერმინის „არსებითი“ განმარტება“;
- ▶ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში: „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო დათმობები“.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

შემდგომი შეფასების მიზნით, ჯგუფის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, გაცემულ სესხებს და ბანკში არსებულ ნაღდ ფულს. ჯგუფი არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს. ჯგუფის ფინანსური აქტივები შედის მიმდინარე აქტივებში, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივი არ არის. ასეთი სესხები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება შემოსულობაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****დებიტორული დავალიანებების გაუფასურება**

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

დებიტორული დავალიანებებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემობრუნება.

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა****ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და მნიშვნელოვანი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და

კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი ასევე ატარებს თვისობრივ ტესტს, რაც მოიცავს ანალიზს იმისა, ხომ არ არის პირობების ცვლილება იმდენად ფუნდამენტალური, რომ საჭიროა აღიარების სასწრაფოდ შეწყვეტა. ფუნდამენტალური ცვლილებები მოიცავს ცვლილებებს სესხის ვალუტაში, სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ფიქსირებულიდან ცვალებადზე ან პირიქით, ან კაპიტალის კონვერტაციის ფუნქციას.

სესხის „არსებითი“ ცვლილება ან მისი ჩანაცვლება „არსებითად“ განსხვავებული პირობებით აღირიცხება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სახით. ეს მოქმედებს თავდაპირველი სესხის აღიარების შეწყვეტაზე და ახალი ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით აღიარებაზე. ეს მოქმედებს პირდაპირ გავლენაზე მოგებაზე ან ზარალზე, თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და ახალი ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობის გამო (ნებისმიერი გადახდილი ფულადი სახსრების ან გადაცემული არაფულადი აქტივების გათვალისწინებით).

თუ ცვლილება არაარსებითია, ჯგუფი არსებულ სესხს ახალი პირობებით და ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს ანგარიშგების თარიღში

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარდება. ისევე, როგორც შესყიდვის ფასი, დაუმთავრებელ მშენებლობაში შემავალი ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაც მოიცავს ერთეულების დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის მომავალი გარდაუვალი ხარჯების პირდაპირ დანახარჯებს და მოსალოდნელ მიმდინარე ღირებულებას.

პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ გაწეულ პროფესიონალურ მომსახურებებს. ამასთან, პირდაპირი დანახარჯები ითვალისწინებს ნებართვის წინა დანახარჯებს, რაც მოიცავს პროექტის შეფასების პერიოდში გაწეულ კვლევებს და მომსახურებებს, როგორც არის შეფასების კვლევა, საპროექტო დანახარჯებს, ტექნიკურ და გარემოსდაცვით დანახარჯებს, გეოლოგიურ კვლევებს. ელექტროსადგურების მშენებლობისთვის ნებართვების მისაღებად განხორციელებული შენაძნებები ადგილობრივ სამთავრობო უწყებებში ასევე წარმოადგენენ პირდაპირი დანახარჯების ნაწილს. ერთეულების დემონტაჟის და გატანის ვალდებულება ანარიცხებში აღიარდება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შეთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გასვლის შედეგად შემოსულობის ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში შემოსავლის / სხვა ხარჯების ნაწილში.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)****ცვეთა**

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლოატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ელექტროსადგურების შემთხვევაში, ფუნქციონირების დაწყების თარიღი ნიშნავს გამოცდის პერიოდის დასრულებას და ენერგიის გამომუშავების ლიცენზიის მიღებას

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლოატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო გამოყენების ვადებია:

	<i>სასარგებლო გამოყენების ვადები</i>
შენობები	60
მიწები და ჭები	5
აღჭურვილობა	10-დან 50-მდე
კომპიუტერები	3
სატრანსპორტო საშუალებები	10

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია აქტივის გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა სასრულია, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. არამატერიალური აქტივები უპირატესად მოიცავს ლიცენზიებს და ნებართვებს, რომლებიც საჭიროა ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად და მათზე ირიცხება ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი მოსალოდნელი სასარგებლო ვადის განმავლობაში (36 თვე), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადაცემულ აღიარებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, მის მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****გადასახადები**

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება წარმოიშობა საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშგაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშგაქტურის გადახდისას. დღგ-სთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები აისახება ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობებიდან, მაშინ, როდესაც საოპერაციო საქმიანობებთან დაკავშირებული დღგ აისახება საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებულ ფულად ნაკადებში.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს და ანაბრებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ.

თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების, ფინანსური ექსპერტიზის ხარჯების და სესხების მიღებასთან დაკავშირებული სადაზღვევო ხარჯების კორექტირებად.

გარიგების ფასები აღირიცხება როგორც ავანსები, ხარჯების გაწევისას. ამ ხარჯების გაწევა ხდება კრედიტორის პროცესის შერჩევის/დამტკიცების პროცესში. ხარჯები წარმოადგენს „კრედიტორის სავაჭრო ხარჯებს“ და ისინი შესულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში, როდესაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება დაფინანსებასთან დაკავშირებით.

ისეთი აქტივის შეძენისთვის ან მშენებლობისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება კაპიტალიზაციას, განისაზღვრება, როგორც ამ კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით ქონების მშენებლობის ფაზაში ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის ნებადართული საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებებში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მშობელი კომპანიის გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალი აღიარებულია, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში მათი გადახდის შემთხვევაში.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

ჯგუფი ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ განისაზღვრება ფასს-ებში და მას განსაზღვრავს ჯგუფი, როგორც შემოსავალი პროცენტის, გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე, წმინდა საკურსო ზარალის გაწევამდე ან შემოსულობის და წმინდა არარეგულარული ერთეულების განხორციელებამდე.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემზღვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

ჯგუფის შვილობილი კომპანიების და მშობელი კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი („აშშ დოლარი“), შემდეგის გათვალისწინებით:

- ▶ საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი აშშ დოლარში განისაზღვრება, შესაბამისად, ჯგუფის შემოსავალი აშშ დოლარში იქნება გამოხატული;
- ▶ ამ მომენტისათვის ჯგუფი ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის პროცესშია და მშენებლობის ხარჯების უმეტესობა აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ აქციონერებისგან კაპიტალში შენატანი აშშ დოლარში განხორციელდა;
- ▶ ჯგუფის ფინანსური სტრუქტურის დაგეგმვა აშშ დოლარში ხდება.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, წმინდა საკურსო ზარალის ნაწილში.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 3,2766 და 2,8677 ლარი 1 აშშ დოლარი, შესაბამისად.

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, შემოსავალი და ხარჯები გადაანგარიშდება ოპერაციების დღეებში მოქმედი სავალუტო კურსებით (ან პერიოდის საშუალო კურსით, თუ მიახლოებული სიდიდე გონივრულია), ხოლო კაპიტალის კომპონენტებისთვის ნარჩუნდება ის გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედებდა სამუშაო ვალუტის შეცვლის თარიღისთვის. გადაანგარიშებისას წარმომდგარი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შესულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი არ მოიცავს საკურსო შემოსულობას/ზარალს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და განხორციელებულ უცხოურ ოპერაციებზე, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების მიზნით ლარში.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****შემოსავლის და ხარჯის აღიარება**

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს სახელმწიფოებრივ ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოიპოვებს საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემით. ქვემოთ მოცემული კონკრეტული პრინციპები ასევე გამოიყენება კომპანიის შემოსავლების მთავარ კლასებთან მიმართებაში:

შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან

შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან აღიარებულია მრიცხველით აღრიცხული მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე და შესაბამისი ფიქსირებული ტარიფის გამოყენებით, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კლიენტები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლოსთვის.

წყლის და ელექტროენერგიის თვითღირებულება

წყლის და ელექტროენერგიის თვითღირებულება მოიცავს წყლისა და ელექტროენერგიის გადაცემის ღირებულებას, რომლებიც უმეტესად გამოიყენებიან ელექტროენერგიის წარმოების მიზნით.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელმწიფოებრივ პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, ამგვარი აქტივი აკმაყოფილებს გაუფასურებულის განმარტებას, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა**

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში „ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში „კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში „შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში „წამგებიანი ხელშეკრულებები“;
- ▶ ფასს (IFRS) 1 „შვილობილი კომპანია, რომელიც პირველად იყენებს ფასს“;
- ▶ ფასს (IFRS) 9 „გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 41-ში „სასოფლო მეურნეობა – დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში“

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

6. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უმეტესწილად მოიცავს ფასს (IFRS) 16-ის თანახმად საიჯარო აქტივების აღიარებას, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით უმეტესწილად მოიცავს გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***7. კაპიტალი****საწესდებო კაპიტალი**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მთლიანად ჰქონდა 5 174 114 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალი.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, ისე, რომ მან შესძლოს პარტნიორებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ ჯგუფის საქმიანობა ხარჯთეფექტიანი იყოს.

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, ჯგუფი კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოადგენს.

2020 და 2019 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

8. ნასესხები სახსრები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე საწარმოებისგან ნასესხები სახსრები მოიცავს აშშ დოლარში გამოხატულ სესხებს 66,963,701 ლარის ოდენობით, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები მოიცავს აშშ დოლარში გამოხატულ სესხებს 72,543,749 ლარის ოდენობით.

2020 წელს ჯგუფმა გასწია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები 6,445,457 ლარის (2019 წ.: 4,968,916 ლარი) ოდენობით.

9. პირობითი ვალდებულებები**გარემოსდაცვითი საკითხები**

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***10. ფინანსური ინსტრუმენტები****ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა***ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში*

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ ფლობდა რამე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი

თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი გასწევს სავალუტო და საკრედიტო რისკებს. ჯგუფი ხელოვნურად ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა განიცადოს ზარალი, თუ მისი კლიენტები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

გაცემული სესხები

2020 წლის მდგომარეობით კომპანიას გაცემული ჰქონდა სესხები თავის შვილობილ კომპანიაზე (კასლეთი, ჰიდრო ჯორჯია, გეოენერჯი).

2019 წლის მდგომარეობით კომპანიას გაცემული ჰქონდა სესხები როგორც თავის შვილობილ კომპანიაზე (კასლეთი, ჰიდრო ჯორჯია, გეოენერჯი) ასევე მშობელ კომპანიაზე ჯორჯია ენერჯი ჰოლდინგ.